<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=483142 Y=4625445
ტარიელ ფუტკარაძის ქ.
X=483587 Y=4625257
1:3,000

ტარიელ ფუტკარაძე
(1960-2021)

ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ბათუმის პრეფექტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი 2011-2021 წლებში.

1983 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; იყო გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიანტი. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო (სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ კილოებში 9აჭარული, გურული, იმერხეული, სამცხურ-ჯავახური0, ხოლო 1998 წელს სადოქტორო დისერტაცია 9თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა).

სხვადასხვა წლებში მუშაობდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ქართული ენის კათედრის გამგედ; 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოდან“. 1991 წლის მარტში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა ქალაქ ბათუმის პრეფექტად; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან მალევე, აჭარაში, ქედის, შუახევისა და ხულოს პრეფექტურებთან არსებულმა საკრებულოებმა ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივას თანადგომა გამოუცხადეს და აჭარის ადგილობრივი ხელმძღვანელობის გვერდის ავლით, თბილისში, საქართველოს უზენაეს საბჭოს წარუდგინეს ამ რაიონთა საკრებულოების გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. 1991 წლის 9 აპრილს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 1991-1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარს ამბობდა სადეპუტატო პენსიაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კახა კალაძეს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

პროფ. სერგო ვარდოსანიძე
პ/ნ 01030014691
ტ 599575190
ქ. თბილისი, [illegible] 49.

ბატონო კახა,

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 2 იანვარს 60 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე. პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე დაკრძალულია ქ. თბილისში მახათას მთასთან არსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი, ქ. ბათუმის პრეფექტი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი, სამეცნიერო ჟურნალების „ქართველური მემკვიდრეობა“ და „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ რედაქტორი. პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს გამოქვეყნებული აქვს 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 25-ზე მეტმა დოქტორანტმა.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების საკითხი.

1. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
2. როლანდ კოპალიანი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

3. დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
4. გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
5. ზურაბ ხონელიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032122358**
თარიღი: **11/08/2021**
პინი: **8148**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სერგო ვარდოსანიძის 2021 წლის 9 ივნისის საქმე #19/032116051-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ტარიელ ფუტკარაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121236111**
თარიღი: **24/08/2021**
პინი: **2149**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17-03212361103

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.08.2021 წლის #03-032122358 (11.08.2021წ. #19-01212231997-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი